ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N4.

თარიღი: 15.03.2024 წ.

დადგენილება N19.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N28.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. დოკუმენტის მიზანია „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის პერსონალური ინფორმაციისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა ადგენს უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მექანიზმებს და ინსტრუმენტებს;

1.3. დოკუმენტი ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ, მოწვეულ და დამხმარე პერსონალზე, სტუდენტებზე, კურსდამთავრებულებზე ან/და ნებისმიერ სხვა პირზე რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უნივერსიტეტის სახელით.

1.4. უნივერსიტეტის სამართლებრივი დოკუმენტი შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონთან, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციებთან მოცემულ სფეროში.

მუხლი 2. დოკუმენტის მიზანი

2.1. დაადგინოს უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესი და პროცედურა;

2.2. უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დაიცვას ფიზიკური პირის უფლებები და უზრუნველყოს დამუშავების გამჭვირვალობა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

3.1. სამართლებრივ დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია უნივერსიტეტის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე და შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან;

3.2. პერსონალური მონაცემი - ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური,

ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

3.3. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

3.4. მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ არსებული მონაცემი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ საუნივერსიტეტო მიზნებიდან გამომდინარე;

3.5. მონაცემთა დამმუშავებელი - უნივერსიტეტი, რომელიც ადგენს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და მექანიზმებს, მეთოდებს, ფორმებს, მონაცემთა ხელშეუხებლობის დაცვის ზომებს, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლება - მოვალეობების რეალიზაციის გზებს;

3.6. უფლებამოსილი პირი - მიერ, კანონის, შიდა სამართლებრივი აქტებითა ან/და ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული, პირი რომელიც ამუშავებს მონაცემებს უნივერსიტეტის სახელით ამ/და მისი მიზნებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი მონაცემების დამუშავებაზე ხელშეკრულების საფუძველზე არის შპს „ინი ჯგუფი“;

3.7. მონაცემთა დამუშავება - პერსონალური მონაცემების მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეო ან/და აუდიო მონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, დაკავშირება, შენახვა, შეცვლა, კონსოლიდაცი და ა.შ. დამუშავება შეიძლება განხორციელდეს სრულად ავტომატური ფორმით, ნახევრად ავტომატური ან სრულად მექანიკური საშუალებით;

3.8. მესამე პირი - მესამე პირი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემის სუბიექტის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, უნივერსიტეტის და უფლებამოსილი პირისა;

3.9. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა - მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება. თანხმობა შეიძლება განხორციელდეს ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით, მათ შორის შესაბამისი ელექტრონული, საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

მუხლი 4. პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტში

4.1. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება:

- ავტომატური საშუალებებით;
- ნახევრად ავტომატური საშუალებებით;
- არაავტომატური საშუალებებით.

4.2. უნივერსიტეტში მუშავდება შემდეგი მონაცემები:

ა. **ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი** - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, აღნიშნული დოკუმენტის სერია და ნომერი, მისი გაცემის ვადა, მართვის მოწმობის ასლი, ბიოგრაფია, ინფორმაცია განათლების შესახებ, ინფორმაცია უცხო ენის ცოდნის დონის შესახებ, დიპლომის ასლი, განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციების ასლი, ინფორმაცია კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, სამსახურში გამოცხადების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საცხოვრებელი/რეგისტრაციის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ინფორმაცია სამხედრო ვალდებულების შესახებ, დაკავებული თანამდებობა, ინფორმაცია ანაზღაურების შესახებ, ნასამართლობის შესახებ, ინფორმაცია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა100);

ბ. **აკადემიური და მოწვეული პერსონალი** - სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი, ასაკი, მოქალაქეობა, სქესი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), განათლების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, საათობრივი დატვირთვა, სამსახურში გამოცხადების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია, პროფესია და პროფესიული მიღწევები, სამეცნიერო პუბლიკაციები, გამოგონებები, პატენტები, სხვა უნივერსიტეტებში პირის დატვირთვა;

გ. **დასაქმების კანდიდატი** - სახელი, გვარი, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა,სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის

მისამართი, საცხოვრებელი/რეგისტრაციის მისამართი;

დ. **სტუდენტი** – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, უცხო ენის ცოდნა, სქესი, განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტები (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა), კანონმდებლობის შესაბამისად სწავლების უფლების მინიჭებაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანების ასლი, ზოგადი განათლების დამადასტურებელი ინფორმაცია (ატესტატი), სოციალურ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია;

ე. **უნივერსიტეტის ვიზიტორები** - სახელი, გვარი.

4.3. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანებით და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების თანახმად;

4.4. პერსონალური მონაცემი უნივერსიტეტში დამუშავებულია კანონის შესაბამისად, აღრიცხულია ფაილურ სისტემაში, სადაც მითითებულია დამუშავების მიზანი საფუძვლები და მონაცემთა შენახვის ვადები;

4.5. პერსონალური მონაცემები, რომლის დამუშავების საფუძვლები არ არის კანონით გაწერილი მუშავდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;

4.6. უნივერსიტეტი, ამუშავებს და ბრძანების სახით გამოსცემს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, ასევე მისთვის ფინანსური შეღავათებისა და სტიპენდიების დანიშვნასთან. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ბრძანება გამოაქვეყნოს საჯარო გაცნობისათვის თუ ეს განსაზღვრულია კანონით;

4.7. უნივერსიტეტი, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, როგორიცაა მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის მიმართვის და მისი თანხმობის საფუძველზე;

4.8. უნივერსიტეტს უფლება აქვს დაამუშაოს მონაცემები პლაგიატის პრევენციისა და მისი გამოვლენის მიზნით;

4.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალური მონაცემები დისციპლინური ღონისძიებების გატარების დროს;

4.10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კურსდამთავრებულებისათვის კარიერული ხელშეწყობის მიზნებისათვის ხელახლა დაამუშაოს პერსონალური მონაცემები. აწარმოოს კურსდამთავრებულთა დასაქმების

მაჩვენებლების კვლევა;

4.11. უნივერსიტეტი ამუშავებს არასრულწლოვან პირთა მონაცემებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე;

4.12. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მუდმივად პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგის განხორციელებას;

4.13. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დასაქმებულისა და სტუდენტის ინფორმირებას ხელშეკრულებისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის მეშვეობით.

მუხლი 5. დამუშავებული მონაცემები და მათი გამოყენება

5.1. დასაქმებული პირების პირადი საქმეების მართვა, მოთხოვნად პოზიციებზე სარეზერვო ბაზების შექმნა და ორგანიზება, პერსონალის შეფასება, დასაქმებული პირებისთვის შეთავაზებების განხორციელება, ხელშეკრულებების, მივლინებების, შვებულებების და სხვა დოკუმენტაციის გაფორმება, პერსონალის გამოკითხვა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსების ორგანიზება;

5.2. დოკუმენტბრუნვის ორგანიზება და კონტროლი, საქმისწარმოების სამართლებრივი უზრუნველყოფა, მარეგულირებელი აქტების შემუშავება, ფიზიკური პირების განცხადებების განხილვა, იურიდიული კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობა სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში;

5.3. შეფასებების წარმოება სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი მუშაობა, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარების გაუმჯობესება, სტუდენტების საქმიანობის შეფასება და ხარისხის კონტროლი, საბიბლიოთეკო საქმიანობის დაგეგმვა და მართვა;

5.4. სტუდენტური სასწავლო ბაზების მართვა, ელექტრონული საქმისწარმოება, დასაქმებულ პირებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ეფექტური კომუნიკაცია;

5.5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პრევენცია - გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

მონაცემები და მათი დამუშავება Online ფორმატში

5.6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დისტანციური შეხვედრების გამართვისათვის, გამოიყენოს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმები (მაგალითად, Zoom, Teams, Moodle, Googe Meet და ა.შ.), რისთვისაც უზრუნველყოფს თანამედროვე ელექტრონული პროგრამების გამოყენებით პირის სახლის კომპიუტერიდან

სამსახურის კომპიუტერში წვდომას ან სხვაგვარ კომუნიკაციას.

მუხლი 6. სუბიექტები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები

6.1. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემებზე დაშვება აქვს/შესაძლებელია ჰქონდეს:

- რექტორი;
- სენატი;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალური მეცნიერებების სკოლა;
- სამართლის სკოლა;
- ჯანდაცვის სკოლა;
- ხარისხის მართვის სამსახური;
- სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური;
- უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამსახური;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი;
- საგამოცდო ცენტრი;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
- ბიბლიოთეკა.

6.2. უნივერსიტეტში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - შემდგომში „ოფიცერი“, რაც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა ეფექტურ შესრულებას;

6.3. ოფიცერი საკუთარ უფლება - მოვალეობების შესრულებისას არის დამოუკიდებელი და მათი შესრულებისთვის ანგარიშვალდებულია უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორის წინაშე. დაუშვებელია ოფიცრის საქმიანობაში დაბრკოლების შექმნა ან ნებისმიერი სახის ხელშეშლა. ოფიცერს უნივერსიტეტში ნიშნავს რექტორი.

მუხლი 7. სტუდენტური ბაზა

7.1. უნივერსიტეტს ბაზის ადმინისტრირების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების მომწოდებელთან (უფლებამოსილ პირთან), რომლის საშუალებით მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტისათვის შესაბამისი ელექტრონული ბაზის სისტემის სერვისის მიწოდებას;

7.2. უნივერსიტეტში მომსახურების მომწოდებელია შპს „ინი ჯი“.

მუხლი 8. ვიდეო მეთვალყურეობა

8.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრზე, შემოსასვლელში და შენობის დერეფნებში წარმოებს ვიდეოკონტროლი;

8.2. ვიდეოკონტროლის მიზანია სტუდენტებისა და სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა, საკუთრების დაცვა ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;

8.3. უნივერსიტეტში ვიდეოკონტროლის წარმოება, დამატებით, დასაშვებია მხოლოდ საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფისათვის განკუთვნილ სივრცეში, რაც წარმოადგენს საგამოცდო ცენტრის კონტროლის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საშუალებას;

8.4. უნივერსიტეტში წარმოებული ვიდეო კონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილებში;

8.5. უნივერსიტეტში ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები ინახება 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.6. უნივერსიტეტში ვიდეო მონიტორინგზე წვდომა აქვს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სამსახურს და რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს;

8.7. უნივერსიტეტში არ ხორციელდება აუდიომონიტორინგი - დაუშვებელია;

8.9. ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით, მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტი ვიდეოჩანაწერს გადასცეს შესაბამის უწყებებს, მხოლოდ მოსამართლის განჩინების, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე;

მუხლი 9. სუბიექტის უფლებამოსილება

9.1. სუბიექტი უფლებამოსილია მომართოს უნივერსიტეტს განცხადებით და მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემების დამუშავების შესახებ;

9.2. სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს უნივერსიტეტისგან ინფორმაცია დამუშავებული ინფორმაციის შესახებ;

9.3. მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სუბიექტს მყისიერად გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხოლო საგამონაკლისო შემთხვევებში არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

9.4. სუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა;

9.5. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებითი შეჩერება (დაბლოკვა) იმ შემთხვევაში თუ სადაოა მონაცემთა დამუშავების მიზნები ან/და საფუძვლები, მათი ნამდვილობა ან სიზუსტე. მონაცემთა დაბლოკვა ხდება მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში;

9.6. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან/და განადგურება;

9.7. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია კანონმდებლობით და ამ პოლიტიკით გათვალისწინებული უფლებებისა და განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტს. საჩივრის წარდგენა შესაძლებელია, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში ან/და სასამართლოში;

9.8. არასრულწლოვანი სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, აქვს მშობელს, ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო სრულწლოვანი სტუდენტების შემთხვევაში, მათ შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ მხოლოდ სტუდენტის თანხმობით;

9.9. პოლიტიკით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების მიზნით მონაცემთა სუბიექტი უნივერსიტეტს მიმართავს წერილობითი განცხადებით ან ელ.ფოსტაზე **info@neu.edu.ge** უგზავნის შეტყობინებას, რომელსაც უნივერსიტეტი განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

9.10. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია შეუზღუდავად მიმართოს უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელ.ფოსტაზე **info@dpo.ge** ან ტელეფონზე 555 50 51 58 მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

10.1. საუნივერსიტეტო საზოგადოება ვალდებულია დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;

10.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებულობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით;

10.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დარღვევა უნივერსიტეტში გამოიწვევს პერსონალის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველს;

10.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დარღვევა უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ გამოიწვევს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველს;

10.5. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია მონაცემთა დამუშავების ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოება;

მუხლი 11. დასკვნითი დებულებანი

11.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

11.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

11.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

11.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.